# შენ გაქვს ყველაფერი, რაც ისურვე, და ამდენივე კიდევ დამატებით

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენგან ყველაზე დაბალი ადგილი სამოთხეში ის არის, როცა ალლაჰი ეტყვის მას: ‘ისურვე!’ და ისიც ისურვებს, შემდეგ ალლაჰი ჰკითხავს მას: ‘ნუთუ ყველაფერი ისურვე?’ და ის უპასუხებს: 'დიახ', მაშინ ალლაჰი ეტყვის მას: შენ გაქვს ყველაფერი, რაც ისურვე, და ამდენივე კიდევ დამატებით»
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სამოთხეში შესულთაგან ყველაზე დაბალი და უმცირესი ადგილი მას ექნება, ვისაც ალლაჰი ეტყვის: "ისურვე!" და ის ისურვებს, სანამ ყველა სურვილი არ გაახსენდება და არ იტყვის. შემდეგ ალლაჰი ჰკითხავს: "ნუთუ ყველაფერი ისურვე? ის უპასუხებს: " დიახ." მაშინ ალლაჰი ეტყვის: "შენ მიიღებ ყველაფერს, რაც ისურვე, და ამდენივეს დამატებით!"

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/8342

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee